ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8 (95) აგვისტო 1959 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

1. ბრძანებულება ლენინგრადის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო დიდი დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

2. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე.

3. ბრძანებულება ქარელის რაიონის ზღუდრისა და ტყემლოვანის სასოფლო საბჭოების ტერიტორიული ცვლილებებისა და სოფლების სათერძისა და ციხისგვერდის გაუქმების შესახებ.

4. ბრძანებულება მარნეულის რაიონის სოფელ გიაურარხის და გიაურარხის სასოფლო საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ.

5. ბრძანებულება საქართველოს ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ.

6. ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. აბაშის რაიონის ონტოფოსა და ნორიოს და მცხეთის რაიონის წილკანისა და საგურამოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ.

8. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

9. ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

10. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ.

11. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

1. გრძანებულება ლენინგრადის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო დიდი დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ თბილისში გასტროლების მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე ჩატარებისათვის, ლენინგრადის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო დიდი თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. შინკუბა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 ივლისი.

2. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე

ტაშისკარის სარწყავი სისტემის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით ის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. აგაშვილი ნიკოლოზ მიხეილის-ძე — მემონტაჟე
2. ამბოკაძე დიმიტრი ისაკის-ძე — ქარელის რაიონის სოფ. მოხისის კოლმეურნეობის წევრი
3. ბაბილუა ელადიმერ ლუკას-ძე — უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი
4. ბერიშვილი ბენედიქტ მალაქიას-ძე — სამუშაოთა მწარმოებელი
5. განჯელაშვილი აკაკი ნიკოლოზის-ძე — ხაშურის რაიონის სოფ. სატივის კოლმეურნეობის წევრი
6. გაჩეჩილაძე შალვა რაჟდენის-ძე — უბნის უფროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. გოლუბიანი ოთარი გიორგის-ძე — მეექსპედიტორი
8. დაბრუნდაშვილი ედიშერ ლევანის-ძე — ბაშურის რაიონის სოფ. ქვემო-ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე
9. დომბროვსკი ალბინ ბიკენტის ძე — ელექტრომექანიკოსი
10. იშხანოვი ალექსანდრე სპირიდონის-ძე — „საქსახინწყალპროექტის“ პროექტის მთავარი ინჟინერი
11. კილაბერიძე ნიკოლოზ გიორგის-ძე — მთავარი მექანიკოსი
12. კიკაძე ივანე ვასილის-ძე — ავტომანქანის მძღოლი
13. ლიაძე შალვა ივანეს-ძე — „საქსახინწყალპროექტის“ ტექნიკური განყოფილების უფროსი
14. მარგველაშვილი გიორგი ვასილის ძე — მებეტონე
15. მელიქიძე ერმალო ივანეს-ძე — დურგალი
16. მსხალაძე ნიკოლოზ გიორგის-ძე — მებეტონე
17. ორეხოვი პავლე სიმონის-ძე — მემონტაჟე
18. ოსაძე ვახტანგ ანდრიას-ძე — ქარელის რაიონის სოფ. აბანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე
19. პავლაძე სიმონ ალექსის-ძე — საქართველოს კომუნისტური პარტიის ქარელის რაიკომის მეორე მდივანი
20. ულუმბელაშვილი გოდერძი ალექსანდრეს ძე — მეარმატურე
21. ქესანაშვილი გრიგოლ პავლეს ძე — უბნის უფროსი
22. ყიასაშვილი შალვა ივანეს-ძე — მშენებლობის უფროსი
23. ჭიჭინაძე გიორგი ზაქარიას-ძე — მებეტონე
24. ხაჩიძე გიორგი არჩილის-ძე — მებულდოზერე
25. ხეთაგური თენგიზ არსენის-ძე — მებულდოზერე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. შინკუბა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი,
1959 წ. 25 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ბრძანებულება ქარელის რაიონის ზღუდრისა და ტყემლოვანის სასოფლო საბჭოების ტერიტორიული ცვლილებებისა და სოფლების სათერძისა და ციხისგვერდის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება:

ა) ზღუდრის სასოფლო საბჭოდან სოფელ აბუხალოს გამოყოფისა და მისი ტყემლოვანის სასოფლო საბჭოზე მიკუთვნების შესახებ;

ბ) სოფლების სათერძისა და ციხისგვერდის გაუქმების შესახებ მცხოვრებთა სხვა ადგილზე დასახლების გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. შინკუბა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი.
1959 წ. 3 აგვისტო.

4. ბრძანებულება მარნეულის რაიონის სოფელ გიაურარხისა და გიაურარხის სასოფლო საბჭოს სახელწოდების შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დამტკიცდეს მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება და ამიერიდან სოფელ გიაურარხს ეწოდოს სოფელი ალგეთი, ხოლო გიაურარხის სასოფლო საბჭოს—ალგეთის სასოფლო საბჭო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. შინკუბა.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 3 აგვისტო.

5. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირად საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ

პარტიისა და მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის შემუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკანასკნელ წლებში გადამწყვეტ ძალად იქცნენ მეცხოველეობის პროდუქტებით სახელმწიფოს უზრუნველყოფის საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, როცა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სულ უფრო და უფრო აძლიერებენ საზოგადოებრივ მეცხოველეობის განვითარების ტემპებს და ყოველწლიურად მეტ ხორცს, რძესა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს აწვდიან მოსახლეობას, არის იმის რეალური შესაძლებლობა, რომ ბოლო მოეღოს ქალაქებსა და მათ მიდამოებში მცხოვრებ მოქალაქეთა მიერ მეცხოველეობის პრიმიტიული წესით წარმოებას, რაც იწვევს პურისა და კვების სხვა პროდუქტების სახელმწიფო ფონდების მნიშვნელოვან ხარჯვას, აშორებს მუშახელს საზოგადოებრივ ნაყოფიერ შრომას და გარდა ამისა ქმნის ქალაქებში ანტისანიტარულ მდგომარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აეკრძალოთ 1959 წლის 1 ოქტომბრიდან ქალაქ თბილისში და მის მიდამოებში, აგრეთვე ქალაქებში ბათუმსა და სოხუმში მცხოვრებ მოქალაქეებს პირად საკუთრების პროდუქტიული და მუშა პირუტყვის შენახვა.

დაწესდეს, რომ მოქალაქეებს მიერ ამ ბრძანებულების დარღვევა გამოიწვევს პირუტყვის ჩამორთმევას მისი საფასურის გადახდით, იმ სახელმწიფო დამამზადებელი ფასებით, რომელიც არსებობდა 1958 წლამდე კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ პირუტყვის საცალდებულო წესით ჩაბარებისას.

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რძითა და რძის პროდუქტებით სახელმწიფო ვაჭრობის გაუმჯობესების შესაბამისად გადაწყვიტოს საკითხი საქართველოს სსრ სხვა ქალაქებში და მათ მიდამოებში, აგრეთვე მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს ამ ბრძანებულების I მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი ძროხებისა და ხბოების დაკვლის თავიდან ასაცილებლად უზრუნველყონ პირუტყვის მფლობელთა შორის საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარება, რათა არ იქნას დაშვებული ძროხებისა და ხბოების დაკვლა და ორგანიზებულად ჩაატარონ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ მათი შესყიდვა.

პირუტყვის შესყიდვა მოახდინონ მოქმედი შესასყიდი ფასებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ბ. შინკუბა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი.
1959 წ. 8 აგვისტო.

6. ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოები ერთსულოვნად გამოეხმაურენ მახარაძელთა თაოსნობას სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შედგენისა და მისი განხორციელების შესახებ, მოსახლეობის გაზრდილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებისა და კოლმეურნეობათა მატერიალური და ფულადი რესურსების შესწავლის საფუძველზე შეადგინეს სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმები, დაამტკიცეს ისინი სასოფლო და რაიონული საბჭოების სესიებზე, დაიყვანეს თვითეულ მშენებელ ორგანიზაციამდე და ინდივიდუალურ ბინათმშენებლამდე და გაშალეს საჭირო მუშაობა მათ შესასრულებლად. კოლმეურნეობებში შეიქმნა სამშენებლო ბრიგადები, ხოლო ზესტაფონისა და ყვარლის რაიონებში საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოები, მოეწყო ადგილობრივი საშენი მასალების—აგურის, კრამიტისა და კირის საწარმოები. ამაღლდა ორგმასობრივი მუშაობის დონე და გაიზარდა სასოფლო და რაიონული საბჭოების პასუხისმგებლობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებისათვის. ყვარლისა და ზესტაფონის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული კეთილმოწყობის მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას და თავიანთ წინადადებანი შეაქვთ რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე. რაიონული საბჭოების დეპუტატები და აღმასკომების წევრები მიმაგრებული არიან სამშენებლო ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობისა და დახმარების გასაწევად.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1958 წლის გეგმა ზესტაფონის რაიონში 108 პროცენტით შესრულდა, ყვარლის რაიონში—105 პროცენტით და ამბროლაურის რაიონში 96 პროცენტით. 1958 წელს ამბროლაურის რაიონში აშენდა 32 საზოგადოებრივი შენობა, მათ შორის საშუალო სკოლის 1 შენობა, 1 სასოფლო კლუბი, 6 აბანო, 2 საავადმყოფო და აფთიაქი, 2 ბიბლიოთეკა, 159 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რადიოფიცირებულ იქნა 3 სოფელი; ზესტაფონის რაიონში აშენდა 29 საზოგადოებრივი შენობა, მათ შორის 2 სკოლა, 3 კლუბი, 1 სამშობიარო სახლი, 2 საბავშვო ბაღი, მასწავლებელთა 2 სახლი, 156 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი; რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებული იქნა 2 სოფელი, კეთილმოწყობილია 80 კილომეტრი გზა. ყვარლის რაიონში აშენდა 9 საზოგადოებრივი შენობა და 504 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. მათ შორის 1 საავადმყოფო, 1 მაღაზია, გაყვანილ იქნა 18 კილომეტრი სიგრძის წყალსადენი, რადიოფიცირებულია 5 და ელექტროფიცირებული 5 სოფელი, კეთილმოწყობილია 43 კილომეტრი გზა. ორგანიზებულად მიმდინარეობს აგრეთვე 1959 წლის გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა. ამ ობიექტების უმრავლესობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა 70—80 პროცენტი უკვე შესრულებულია.

კულტურულ-საყოფაცხოვრები მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების საქმეში კარგი მუშაობით გამოირჩევიან ზესტაფონის რაიონის ფუთის, პირველი სვირის და კლდეეთის, ყვარლის რაიონის ახალსოფლის, ამბროლაურის რაიონის ლიხეთისა და ჭრებალოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონების ზოგიერთ საბჭოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საქმეში გააჩნია ერთგვარი ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთ საბჭოს ჯერ კიდევ არ გარდაუქმნია ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების აუცილებელი შესრულება. მშრომელთა დეპუტატების ამბროლაურის რაიონულ და ზოგიერთ შემოწმებულ სასოფლო საბჭოს და მათ აღმასკომს დღემდე არ განუხილავს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა. კულტურულ-საგანმანათლებლო და კეთილმოწყობის მუდმივ კომისიებს არ შეუსწავლიათ სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა და არ შეუტანიათ თავიანთ წინადადებები შესაბამისი საბჭოს ან აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განსახილველად.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1958 წლის გეგმა ყვარლის რაიონში მართალია, შესრულებულია გადაჭარბებით, მაგრამ ზოგიერთ სასოფლო საბჭოში არ შენდება გეგმით გათვალისწინებული ობიექტები. ენისელის სასოფლო საბჭოში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ კლუბის, აბანოს, სამაგვრო ბაღის, კრამიტისა და კირის ქარხნების მშენებლობა, რაც სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო 1958—1959 წლებისათვის.

ჯერ კიდევ ფართოდ არ არის დაჩაზმული მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობაში აქტიური შრომითი მონაწილეობისათვის. იშვიათად ეწყობა შაბათობები და მშრომელთა მასობრივი გასვლა მშენებლობებზე. სამუშაოები უმთავრესად დაქირავებული მუშახელით სწარმოებს, რაც ზრდის მშენებლობის ღირებულებას.

ზოგიერთ მშენებლობაზე მოწესრიგებული არ არის შრომის ორგანიზაცია; საკმარისი რაოდენობით არა აქვთ სამშენებლო მასალები; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ადგილობრივი საშენი მასალების საწარმოთა გაფართოებისა და ახალი საწარმოების მოწყობის საქმეს; საშენ მასალათა წარმოების ამჟამად არსებული დონე მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ზოგიერთ საზოგადოებრივ შენობათა მშენებლობას ვერ იწყებენ ტექნიკური დოკუმენტაციისა და ხარჯთაღრიცხვების უქონლობის მიზეზით.

ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 12 ივლისის დადგენილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაწმისა და ამ დარგში მოწინავეთა დასაჯილდოებლად გარდამავალი დროშის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მშენებლობისა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროები და მათი სამშენებლო ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ ადგილზე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის განხორციელებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ამბროლაურის, ზესტაფონისა და ყვარლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს (ამხ. ამხ. ვ. დავითაულიანი, თ. კაპანაძე და მ. დავითაშვილი):

ა) გააუჯობესონ ხელმძღვანელობა სამწლიანი გეგმით გათვალისწინებულ კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობისადმი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 1959 წლისათვის გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობას, რეგულარულად შეისწავლონ ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და სესი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებზე, მიიღონ ზომები მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და გეგმების შესრულებისათვის;

ბ) ამთავითვე გაშალონ მოსამზადებელი მუშაობა სამწლიანი გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის დაწყებისათვის, მიაღწიონ იმას, რომ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1960 წლის გეგმა შესრულდეს ვადაზე ადრე და გადაჭარბებით;

გ) რაიონულმა და სასოფლო საბჭოებმა მკვეთრად გარდაქმნან კულტურულ-საგანმანათლებლო და კეთილდღეობის მუდმივი კომისიების მუშაობა. მუდმივმა კომისიებმა მშენებლობის მიმდინარეობის საკითხების შესწავლაში ფართოდ გამოიყენონ დეპუტატები და სოფლის აქტივი;

დ) მნიშვნელოვანი კულტურულ საყოფაცხოვრებო ობიექტები გამოაცხადონ სახალხო მშენებლობებად და მათ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინონ მოსახლეობას, ფართოდ ჩაბან ამ სამუშაოებში ახალგაზრდობა, ხშირად მოაწყონ შაბათობები მასობრივი სამუშაოების შესრულებისათვის;

ე) გაფართოვონ არსებული და მოაწყონ ახალი საწარმოები ადგილობრივი საშენი მასალების დასამზადებლად იმ ვარაუდით, რომ მთლიანად დააკმაყოფილონ მოთხოვნილება აგურზე, კრამიტზე, კირზე და სხვა სამშენებლო მასალებზე;

ვ) გადასინჯონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამშენებლო ობიექტების ტექნიკური დოკუმენტაცია იმ ანგარიშით, რათა მოსპონ ზედმეტობა და გადაჭარბებული გაფორმებები, ყოველმხრივ შეამცირონ მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება;

ზ) გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოებს შორის სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის ვადაზე შესრულებისათვის, შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად დაიწესონ რაიონული გარდამავალი დროშები.

2. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას (ამხ. ზ. კეცხოველი) განიხილოს სოფლების სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის საკითხი და მიიღოს ზომები მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ მშენებლობის, ადგილობრივი მეურნეობისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროებს გაუწიონ დახმარება რაიონული საბჭოების აღმასკომებს სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის საქმეში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს საფუძვლიანად შეისწავლონ და რაიონული და სასოფლო საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე განიხილონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმების შესრულების მიმდინარეობა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციას, გეგმით გათვალისწინებულ დავალებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959წ. 24 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აბაშის რაიონის ონტოფოსა და ნორიოს და მცხეთის რაიონის წილკანისა და საგურამოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აბაშის რაიონის ონტოფოსა და ნორიოს და მცხეთის რაიონის წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოებმა უკანასკნელ დროს გაუმჯობესეს ორგანიზაციი მუშაობა. ისინი რეგულარულად იწვევენ სასოფლო საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებს, იხილავენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის აქტუალურ საკითხებს და ატარებენ პრაქტიკულ ღონისძიებებს მისი შესრულებისათვის, რის შედეგადაც გარკვეული წარმატებები აქვთ მოპოვებული სოფლის მეურნეობის განვითარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, სახალხო განათლების, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმების შესრულების საქმეში.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების ონტოფოს, ნორიოს, წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოებს მუშაობაში გაეჩნიათ რიგი ნაკლოვანებანი. ისინი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობას, რის გამოც ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ სრულდება მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისა და ფულადი შემოსავლის გეგმები. გასულ წელს აბაშის რაიონის ონტოფოსა და ნორიოს კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ სიმინდის მოსავლიანობის გეგმები; დაბალი იყო ჩაის ფოთლის მოსავლიანობაც.

სერიოზული ნაკლოვანებანი არსებობს მეცხოველეობის განვითარების საქმეში. არ არის შესრულებული პირუტყვის სულადობის გეგმები და დაბალია მისი პროდუქტიულობა. ონტოფოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას შესრულებული არა აქვს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის სულადობის მიმდინარე წლის გეგმები. ნორიოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობას გეგმის შესრულებას აკლია 18 ღორი, 468 ფრთა ფრინველი და 43 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 19 ძროხა.

სათანადო ყურადღება არ ექცევა ბერწიანობის ლიკვიდაციისა და პირუტყვის საერთო ჯოგში დედა-პირუტყვის სულადობის გადიდების საქმეს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო რიცხვში დედა-პირუტყვის ხვედრითი წონა ახალდაბის კოლმეურნეობაში 21 პროცენტს არ აღემატება, წილკანის კოლმეურნეობაში 23 პროცენტს, ამაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ ძალისს, ერედისა და საგურამოს კოლმეურნეობებს.

ონტოფოს, ნორიოს, წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოებმა და კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს მეცხოველეობის პროდუქტების დაშზადების 7 თვის გეგმები. ნელი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე მეცხოველეობისათვის შენობა-ნაგებობებისა და სასილოსე ორმოების მშენებლობა.

ჯერ-ოვანი ყურადღება არ ექცევა კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის საქმეს. დიდია იმ შრომისუნარიან კოლმეურნეთა რიცხვი, რომელთაც შესრულებული არა აქვთ შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი. წილკანის სასოფლო საბჭოში შემავალი 4 კოლმეურნეობის 1.682 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან პირველი პერიოდის მიხედვით შრომადღეების დაწესებული მინიმუმი გამომუშავებული არ ქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

616 კოლმეურნეს. მარტო წილკანის კოლმეურნეობაში 668 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან შრომადღეების მინიმუმი არ შეუსრულებია 283 კოლმეურნეს.

არადამკმაყოფილებლად სრულდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმები. სასოფლო საბჭოები დაკმაყოფილდნენ მოუფიქრებლად და ნაჩქარევად შედგენილი გეგმების დამტკიცებით და ბევრი საპირო და აუცილებელი ობიექტის მშენებლობა არ იქნა გათვალისწინებული, ხოლო რაც გაითვალისწინეს, ისიც არ შენდება. ნორიოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე 8 ობიექტიდან, რომელიც 1959 წელში უნდა აშენებულიყო, მხოლოდ ხიდ-ბოგირები გაკეთდა. რაც შეეხება კლუბის, კოლმეურნეობის კანტორის, სამაგშო ბაღის, პიონერთა და მოხუცთა დასასვენებელი სახლის მშენებლობას და პარკისა და სპორტული მოედნის მოწყობას—ისინი დაწყებულიც კი არ არის. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად ნორიოს სასოფლო საბჭოს ორი წლის განმავლობაში არც სესიაზე და არც აღმასკომის სხდომაზე ერთხელაც არ განუხილავს კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმის შესრულების მიმდინარეობა. ონტოფოს სასოფლო საბჭო საპირო ხელმძღვანელობას არ უწევს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, აგრეთვე ვაჭრობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს და ეს მაშინ, როცა ამ დარგებში არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოში არადამკმაყოფილებლადაა დაყენებული ყოფლის მოსახლეობის კულტურული და მხატვრული მომსახურების საქმე, მათ იშვიათად უჩვენებენ კინო-სურათებს, მხატვრული კოლექტივების გამოსვლებსა და თეატრალურ დადგმებს. ღარიბია სასოფლო ბიბლიოთეკები წიგნადი ფონდით, არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სასოფლო კლუბებთან არსებული წრეები.

მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ტარდება სესიები და აღმასრულებელი კომიტეტის სხდომები წილკანისა და საგურამოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებში. სესიებისა და აღმასკომების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დიდი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა; რიგ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება არ შეესაბამება განსახილველი საკითხის შინაარსს. ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი აჭარბებს უფლებამოსილებას, იხილავს ისეთ საკითხებს, რომელნიც არ შედის მის კომპეტენციაში.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულების საქმეს. საბჭოების დეპუტატებს საპირო დახმარებას არ უწევენ სადეპუტატო მოვალეობის შესრულებაში, ისინი უზრუნველყოფილნი არ არიან საცნობარო მასალებით საბჭოების ნუშობის შესახებ. ზოგი დეპუტატი ანგარიშს არ აბარებს თავიანთ ამომრჩეველებს. მაგალითად, საგურამოს სასოფლო საბჭოს 21 დეპუტატიდან 1958 წელს ანგარიში არ ჩაუბარებია 15 დეპუტატს, წილკანის სასოფლო საბჭოს 34 დეპუტატიდან—18 დეპუტატს, ხოლო უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში წილკანის, საგურამოს, ონტოფოსა და ნორიოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს არც ერთ დეპუტატს არ ჩაუბარებია ანგარიში ამომრჩევლებისათვის.

წილკანის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ნაკლებად იყენებს მუშაობაში მუდმივ კომისიებს, არ უწევს მათ სათანადო დახმარებას, რის გამოც ამ სასოფლო საბჭოს საბიუჯეტო, კეთილმოწყობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიები სუსტად მუშაობენ.

სასოფლო საბჭოების ზოგიერთი მუდმივი კომისია ჯერ კიდევ ვერ ერკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეგა თავის უფლებამოვალეობაში, გამოაქვს დამავალდებულებელი ხასიათის დადგენილებები.

ნორიოს სასოფლო საბჭოს და მის აღმასკომს მიმდინარე წელს მიღებული გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება არ მოუხდენიათ, რის გამოც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნაწილი შეუსრულებელი დარჩა. წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოების მუშაობის პრაქტიკაში დანერგილი არ არის სოფლის ყრილობების მოწვევა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სთვლის, რომ ონტოფოს, ნორიოს, წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია მშრომელთა დეპუტატების აბაშისა და მცხეთის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით, იმით, რომ ისინი იშვიათად იხილავენ სასოფლო საბჭოების მუშაობის ცალკეულ საკითხებს, საკმაო რაოდენობით არ ატარებენ სასოფლო საბჭოების მუშაკთა სემინარებს და საინსტრუქტაჟო თათბირებს საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე; რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკები იშვიათად დადიან სასოფლო საბჭოებში მუშაობის შესწავლისა და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკალოს ონტოფოს, ნორიოს, წილკანისა და საგურამოს მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. მ. ურიდია, რ. ჭანტურია, მ. ბერიკაშვილი და ქ. უნდილაშვილი):

ა) გაატარონ სპეირო ღონისძიებანი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის განმტკიცებისათვის, მიაღწიონ სამეურნეო-კულტურული მშენებლობის საკითხების გადაწყვეტაში სასოფლო საბჭოების როლის ამაღლებას;

ბ) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და დახმარება საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კოლმეურნეობებისადმი, პერიოდულად მოისმინონ კოლმეურნეობების თავმჯდომარეების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, ფერმების გამგეების, ბრიგადირებისა და მერგოლურების მოხსენებები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და მეცხოველეობის განვითარების მდგომარეობის შესახებ, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველყოფენ მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის ამაღლებას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებას და ფულადი შემოსავლის ზრდას;

გ) მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებისათვის, უზრუნველყონ შრომისუნარიან კოლმეურნეთა უკლებლივ ჩაბმა საკოლმეურნეო საქმიანობაში. საკოლმეურნეო შრომის თავმჯდომარეებმა მიმართ გაატარონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებული ღონისძიებანი;

დ) მტკიცე კონტროლი დააწესონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განხორციელებაზე, კოლმეურნეთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთების და მათ პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის ნორმების დაცვაზე, ყოველგვარი ზომები მიიღონ საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისა და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ე) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობების, ბრიგადების, რგოლებისა და მეცხოველეობის ფერმებს შორის.სისტ ემატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შეისწავლონ და განაზოგადონ მოწინავე კოლმეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება;

ვ) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საბჭოლიანი გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობისადმი, რეგულარულად შეისწავლონ ცალკეული ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობა და განიხილონ აღმასკომების სხდომებზე და სესიებზე, მიიღონ ზომები მშენებლობის ტემპის დაჩქარებისა და გეგმების აუცილებელი შესრულებისათვის;

ზ) მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საკითხებს, დაეხმარონ სკოლებს სწავლების—ცხოვრებასთან მიახლოებაში, მოაწყონ დროებითი და მუდმივი სპავშვო ბაღები, გააუმჯობესონ მოსახლეობის სამედიცინო და სავაჭრო მომსახურება;

თ) გადაქრით გააუმჯობესონ მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობა, პერიოდულად მოისმინონ კლუბების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მუშაობის საკითხები, დახმარება გაუწიონ მათ მხატვრული თვითმოქმედების გაშლაში, უზრუნველყონ ლექციო-მოხსენებების ჩატარება პოლიტიკურ, აგრონომიულ, ზოოტექნიკურ, საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო თემებზე;

ი) უზრუნველყონ სასოფლო საბჭოების სესიების მაღალ დონეზე ჩატარება, არ დაუშვან სესიებზე მოუმზადებელი საკითხების გატანა, საკითხების მომზადებაში ფართოდ ჩაბმან მუდმივი კომისიები, დეპუტატები და საბჭოს აქტივი, ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ სესიებზე დასმული საკითხები, გადაწყვეტილებებში გაითვალისწინონ დეპუტატების მიერ სესიებზე გამოთქმული წინადადებები და შენიშვნები, მიიღონ კონკრეტული და საქმიანი გადაწყვეტილებები; ამასთან სისტემატური კონტროლი დაუწესონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე;

კ) სასოფლო საბჭოებმა სესიების ჩატარების პრაქტიკაში დანერგონ ინფორმაციების მოსმენა წინა სესიის გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის, დეპუტატების მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გამო მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების შედეგებზე;

ლ) დახმარება გაუწიონ მუდმივ კომისიებს მუშაობაში, პერიოდულად მოისმინონ საბჭოების სესიებზე მუდმივი კომისიების ანგარიშები, მოაწყონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების სემინარები პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე;

მ) ყოველდღიური დახმარება გაუწიონ მუშაობაში სასოფლო საბჭოს დეპუტატებს, ფართოდ გააცნონ მათ სადეპუტატო უფლებამოვალეობანი, წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით მოაწყონ დეპუტატებს შეხვედრა ამომრჩევლებთან და მათთვის ანგარიშების ჩაბარება; აღრიცხონ ამომრჩეველთა ყველა წინადადება და პრაქტიკული შენიშვნა, ქმედითად დაეხმარონ დეპუტატებს ამომრჩეველთა განაწესებისა და წინადადებების შესრულებაში, მოაწყონ მოწინავე დეპუტატების გამოცდილების განზოგადება და ხელი შეუწყონ ამ გამოცდილების მუშაობაში ფართოდ დანერგვას;

ნ) მეტი პასუხისმგებლობით მოეკარან სასოფლო საბჭოების სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების ოქმების გაფორმებში საქმეს, გააუმჯობესონ საქმისწარმოება, არ დაუშვან საკმლო დავთრებში დაუსაბუთებელი გადასწორება, ჩამატება და ამოშლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაეკვალოს აბაშისა და მცხეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს (ამხ. ამხ. ა. ჯღარკავა და ვ. ბერუჩაშვილი) სისტემატური დახმარება გაუწიონ ონტოფოს, ნორიოს, წილკანისა და საგურამოს სასოფლო საბჭოებს მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის, საბჭოების თავმჯდომარეების და მდივნების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით რეგულარულად ჩაატარონ სემინარები ორგმასობრივი და პრაქტიკული მუშაობის საკითხებზე, საბჭოთა კანონმდებლობისა და სამეურნეო კულტურული მშენებლობის აქტუალურ თემებზე.

3. დაეკვალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს მორიგ სესიებზე განიხილონ სასოფლო საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და მიიღონ ზომები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლებისა და პარტიის XXI ყრილობის დადგენილებათა შესაბამისად მათი მუშაობის გარდაქმნისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 აგვისტო.

8. ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 ოქტომბრის ბრძანებულების საფუძველზე, ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდნენ:

მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“

1. ბოლშენკო ალექსანდრე მიხეილის-ძე — რიგითი
2. გოლოვკო ვლადიმერ ვასილის-ძე — რიგითი
3. კალანდია ტოგო მაქსიმეს-ძე — ათეულის მეთაური
4. ლატინი ალექსანდრე ივანეს-ძე — უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 16 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე, წყალწაღებულის გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირულობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს:

მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“

1. თეთროქალაშვილი შალვა — ქ. თბილისის მე-7 პოლიკლინიკის ექიმი-აბრამის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1959 წ. 24 აგვისტო.

10. მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის ბრძანებულებით დააჯილდოვა „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლის“ მედლებით 403 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქალაქ თბილისიდან		30
ქალაქ ქუთაისიდან		9
აღიგენის რაიონიდან		3
ახალციხის	„	19
ბოგდანოვკის	„	10
გორის	„	15
გეგეჭკორის	„	14
გურჯაანის	„	5
დმანისის	„	45
დუშეთის	„	2
ზუგდიდის	„	40
თელავის	„	10
თეთრიწყაროს	„	18
ლანჩხუთის	„	2
მცხეთის	„	23
საჩხერის	„	18

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეჯოს	„	38
სიღნაღის	„	6
ტყიბულის	„	3
ყვარლის	„	10
ცხაკაიას	„	16
წალკის	„	40
ხაშურის	„	15
ხობის	„	12

11. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებანი

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1959 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაამტკიცა ბათუმის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის 1959 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება და გარდაქმნა ბათუმის რაიონის სოფელი მახინჯაური, დაბად (ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტად), ხოლო მშრომელთა დეპუტატების მახინჯაურის სასოფლო საბჭო—მახინჯაურის სადაბო საბჭოდ.

მახინჯაურის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს არჩევნებამდე, მახინჯაურის სასოფლო საბჭოს დაეევალა სადაბო საბჭოს მოვალეობის აღსრულება. მახინჯაურის სადაბო საბჭოში შეტანილ იქნა დაბა მახინჯაური და სოფლები მწვანე კონცხი და განთიადი.

— . —

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 24 ივნისის ბრძანებულებით, ხულოსა და შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობის საფუძველზე, ხულოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების ყინჩაურის სასოფლო საბჭოს, მისი ადგილმდებარეობის შესაბამისად, ეწოდა სხალთის სასოფლო საბჭო, ხოლო შუახევის რაიონის მშრომელთა დეპუტატების სხალთის სასოფლო საბჭოს—ზომლეთის სასოფლო საბჭო.